ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № -23-

მცხეთა „-02-" „სექტემბერი" 2011წელი

შემსყიდველი: სსიპ ძეგვის საჯარო სკოლა
მისამართი, ტელეფონი: მცხეთის რ-ნი სოფ. ძეგვი, 822 30 72 33
ხელმძღვანელი: დირექტორი ფარნაოზ იორდანიშვილი
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22 GE57LB0121140022143000
საიდენტიფიკაციო ნომერი: 236087818

მიმწოდებელი: ი/მ "გ. ქემოკლიძე"

მისამართი, ტელეფონი: თბილისი.

საბანკო რეკვიზიტები: პროკრედიტ ბანკი MIBGGE22 ანგარიშის ნომერი: GE75PCO223600100010966,

საიდენტიფიკაციო კოდი 01003012683

ერთის მხრივ – შემსყიდველი და **მეორეს მხრივ** მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**

სამეურნეო საქონლის ღირებულება.

. **მხარეთა მოვალეობები**

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შეთანხმებული ფასების და ვადების შესაბამისად.
2.3 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციით.
2.4 მიმწოდებელი ვალდებულია გამოცვალოს უხარისხო (წუნდებული) საქონელი.
2.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
2.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, საქონლის მიწოდებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში .

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს : 281 ლარს.
3.2 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. **ანგარიშსწორების წესი**

4.1 ანგარიშსწორების ვალუტა -----ლარი.
4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
4.3 გადაცემის თარიღად ითვლება სასაქონლო ზედნადებზე ხელის მოწერის თარიღი.

5 **ხარისხი**

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6. **მიწოდების წესი**

6.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება.
6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი სასაქონლო ზედნადებზე ხელის მოწერიდან 5 დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 3 დღის ვადაში უზრუნველყოს მისი გამოცვლა.
6.4 შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ორივე მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

7 . მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები ჯარიმდებიან ხელშეკრულების საერთო თანხის 50%-ით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

9.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკებათა გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

9.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.5 ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მიხედვით.

9.6 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

9.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლიდან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --02.09. 2011 წელი---------- ---02.11. 2011 წელი.----------
ჩათვლით.

.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებელის კოორდინატები:**
ძეგვის საჯარო სკოლა	----ი/მ „გ. ქემოკლიძე"----------

დირექტორი:	------ქ. თბილის .----------

ფარნაოზ ბორდანიშვილი	
----------	----------